

გამოდის ყოველ-ღვინდობაშას ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდი წიგნი 8 კაპ.; პირველი 16 კაპ. სრული უნასწავლო გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მანათი. დანართები: ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გავლობაზედ.

„დროშა“ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა- რაფილის სახლში. ფელის-მოწერი მიიღება თბილისში, რედაქციისთან; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუკ- მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроша»

„დროშის“ ფასი ახრის პირველი და- წლის დამლევამდე 7 მ. და 50 კ; სოფლის მასწავ- ლებელთათვის 5 მან. და 50 კ. წლით ხელის-მომწერი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

მკოდნე გაიგებს მეგრულსა. აბა რა- თია უცხო ქართული მეგრელებისა- თვის? მთუცა განსხვავება კი აქვს, მართალია, ასე, რომ მეგრულს სი- ტყუას ზოგს თითო—ზოგს ოროლი ასოები აკლდება და ზოგსაც ემატება. ეს არის ჩვენი სიჩქარე და ჩვენი ქართ- ლოთაინობის დამატკიცებელი საბუ- თები. ამისთანა საბუთებს აღმოსავ- ლეთის ქართლოთაინებშიცა ცხვადეთ, მაგრამ, მართა ამისთანა ჩვენი ენის შერყევის მიზეზი ყოფილა კიდევ სკო- ლების უქონლობა, და მასთან კიდევ მაჰმადიანების შემოსევა, ტყუეში და მთებში გაფანტვა. ეს საბუთები ჩე- ნებმა ყველამ კარგად იცინ და არც არის საჭირო მათთვის განმარტება, მაგრამ მე კი საჭიროდა ვრაცს, მხო- ლოდ იმას განვუმარტო რუსული ასოე- ბით, რომელსაც არც ქართული ესმის და არც მეგრული:

Table of Georgian words and their Megele names. Includes columns for 'По грузинск.', 'По менгрельски', and 'Хорвали'.

ხმა ერისა—ხმა ღვთისა თბილისი, მარტის 28-ს

სამართლიანად გვიჩვენდა ერთის ჩვენდამი მომართული წერილის ავ- ტორი, რომ ცალკე ორგანო დაგვე- არსებინა იმ წერილებისათვის, რომელ- ნიც სამეგრელოდამა და მეგრელები- საგან მოგვივიდოდნენ შესახებ მეგრე- ლებისა და ქართველების ერთობისა და ამ ორის ხალხის ენის სრულის მზგავსებისა ერთი-ერთმანეთთან. მღე ისე არ გავა და ორს წერილს ერთად ისე არ გავხსნივთ, რომ ერთი მანც ამ ფრიად საყურადღებო და მნიშენე- ლობით სავეს საჯანს არ შეგნებოდეს. ჩვენ არას ვიტყვივით და იმდენს ყუ- რადღებას არ მივაქცევით მათ, თუ იგინი დაწერილნი იყენენ მართა ეს- რედ-წოდებულის ინტელიგენციის წეე- რებისაგან, რომელთაც მოწინააღმდე- გებმა შეიძლება განგებ საქმის გაზ- ვიადება დასწამონ, მაგრამ მომეტეუ- ლი მათი ნაწილი ეკუთნის სრულიად გამოუცდელს და გაუყვარვიშებელს კლამს, რომლის პატრონიც სიმართ- ლის წამოშემის სურვილს ძალად გაუაფვარებია. ამ ნაწერებში აქა-იქ

უსწორ-მასწოროდ გაბნეულ ასოების შემწეობით ძლიერს ამოიკითხავეთ, თუ რა სწაღდა დამწერს და ისიც იმი- ტომ, რომ თითქმის ყველა ამ გვარ წერილებში ერთი-და-იგივე აზრი გა- მოსტვირის, ერთი-და-იგივე საზოგადო სურვილი სჩანს, ხშირად თავსებურ საბუთებზედ და დამტკიცებებზედ დამ- ყარებული.

აქ, ერთი ამ გვარ წერილთაგანი, რომელსაც ეს წოდებლი სურვილი აზ- კარად ეტყობა და იმავე საერთო წა- დილის გამოამეტყუეედა. მოგვეყავს იგი აქ თითქმის შეუცვლელად: „დაუყენიათ ბატონო, ქართული ენა მეგრელებისათვის უცხო არისო! რაღა ამისთანა მიზეზების ძიება არის საჭი- რო; ნათქვამია: დაუყვილს გატეხი- ლი სჯობიაო... რათია უცხო ქარ- თული მეგრელებისათვის? შოველს კარგს სწაველულს კარგად მოვესენე- ბათ, რომ მეგრელები ქართლოთაინთ ჩამომავლობისა არიან, ამას გვიმტკი- ცებს გარეგანი ცქეტი მოძრაობა, გულის სიფიცხე, სახელები, გვარები და თვითონ ენა. შოველი მეგრელი, სკოლაშიდაც რომ არ ისწავლოს, თი- თქმის ნახევარზე მეტს გაიგებს ქარ- თულს ენას. აგრეთვე ქართულის

Table of Georgian words and their Megele names. Includes columns for 'По грузинск.' and 'По менгрел.' with lists of words like Эрტი, Ори, Сами, etc.

აბა, ამ თელაში ბევრი განსხვავება არის თუ არა? ამას ვარდა კიდევ რამ- დენიმე სიტყუასაც მოვიყენ რუსული ასოებით, დაატოლეთ და მაშინ შეი- ტყუაბთ რამოდენადაც უცხო ყოფილა

აგრეთვე თითქმის ყოველს მეგრულს სიტყუას თავს-და-ბოლოს დაჰყუება ქარ- თული სიტყვის დასაწყისი და გასათა- ვებელი ასოები. მაგალითად როგორც არის ქართულად ჩემი, მეგრულად ჩქი- მი; чеми—чкими. ასე რომ ჩამოა- თვალიერონ ქართული და მეგრული და შეადარონ ერთი მეორეს, მაშინ უფრო დარწმუნდებიან რომ ქართუ- ლი სრულბეითაც უცხო არა ყოფი- ლა მეგრელებისათვის. ანდაზად იტყვიან ხოლმე: კაცმა კაცს ჰკითხაო: მეგრუ- ლი იცია და არა ბატონოვო. ქარ- თული ხომ იცია? ქართული კი კარ- გადაო. მამ ქართული გადასხვავურე და მეგრული იქნებაო. რიც შემოხ- სენებულის ენებს მკოდნე კაცი დაე- მოწმება, რომ მეგრული არის შემდ- ვარი გადასხვავურებულის ქართული- საგან და ამისთანა გადასხვავურების შესწორებს საჭიროება რომ არ ესმო- დეს ვისმეს დიდი გაუგებლობა!..

მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089-1224 წლებში

წერილი ამ სათაურით დაბეჭდილი იყო „მაცკასის ისტორიულ და არქე- ოლოგიურ ცნობებში“ და ქართულს ენაზედ—„ივერიაში“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემოხსენებულის თხზულების დედა-აზრი და საგანი ქართველთა სა- ზოგადოებისათვის საყურადღებო უნ- და იყოს. ბაზეთი „მაცკასის“ მეფე- ლტონემ (პარილის 24—1884) განიხი- ლა ჩვენი წერილი, მაგრამ იმ არსე- ბითს კითხევებზედ, რომლის შემუშა- ვებას ჩვენ ეცდილობდით, სრულიად

ვერაფერი გვამცნო. შოველი წრფე- ლი მკითხველისათვის ცხადია დედა- აზრი ჩვენი თხზულებისა, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

- ა) დავით აღმაშენებლის მეფობის უკანასკნელ ხანებიდან მოყოლებული ვიდრე მანგოლების შემოსევამდის, ესე იგი მთელი ერთი საუკუნე, ქართველთ თემები (ლიხის მთის იქით, შორახის ხეობა, მტკვრის სათავე, ქართლი და ქახეთი) იკრიბებიან ერთ პოლიტიკურ სხეულად, დაჰყოფენ ამ მდგომარეო- ბაში 130 წელს და იმდენად მძლავრ- ლებიან, რომ არა თუ მარჯვენ ივე- რებენ ძლიერი სელჯუკის სახემწიფოე- ბის შემოსევას, არამედ თავს იხსნიან თავ-დასაცევე ომებიდან, თვით იწყე- ბენ მიმსჯეფე ომებს და ართმევენ მძლავრ მტერთა ერთი-მეორესზედ მი- წებს.
- ბ) ამ ხანებში ქართველ ჯარებს ჰქონდათ თავიანთ განსხვავებული იმ- დროინდული ჩაღისობა\*, რომელიც

შესტეგებოდა უთანაბრო დრამით წეა- ბისაგან (доевая линия) და ამ გვარი საომრად წეობა შესტევა იმისაგან, რომ მაშინდელ ივერიის სამეფოს ყოველ თემიდგან გამოწვეულ ჯარებს ჰქონ- დათ თავ-თავიანთ მიჩნეული ადგილი ჩაღისობაში.

ბ) ბოლოს, ზოგიერთი ომები იმ დროისა დიხსნა არიან როგორც თავიანთ მხელელობით და ხასიათით, აგრეთვე თავიანთ სიძლიერთ მიიქ- ციონ სამხედრო ისტორიის ყურადღე- ბა.


შველას შემომოყვანილი დადგინება განმარტებული არის ჩვენს თხზუ- ლებაში. მსეც არის სახეში მისაღები, რომ ეს ჩვენი თხზულება რუსულ ენაზედ დაბეჭდილი (მაცკას. ისტ. და არქეოლ. საზოგადოების ცნობებში) უფრო შემოკლებულია ვიდრე იგივე წერილი ქართულს ენაზედ „ივერია- ში“, რადგან პირველ შემთხვევაში ის იყო განმზადებული იმ პირთათვის, რომელთაც დიდი ხნიგან და საფუძე- ლიანხა აქვთ გაცნობილი აკადემიკოსის

ბროსეს შრომა ქართულ ისტორია- ზედა. პირველს ჩემს დადგინებას ვერაფერ ვერა ჰყოფს უარს, ვისაც კი ჩაუხე- დავს ქართულს მატრიანებში, ან ბრო- სეს ნათარგმნიში და განმარტებებში და ვისაც გაუცენია შემოხსენებული ებოქის ხასიათი.

რომ ეს დროება იყო განსხვავებუ- ლი საქართველოს ისტორიაში,—ამას მოწმობენ მე-XII და XIII საუკუნეების სომხის მწერლებიც, რომელთ არ შე- გვიძლია დაწვამოთ ქართველთადმი მიუფრება. ქართული მატრიანს ჩვენე- ბა არსებითად ეთანხმება მოსლემინთ ავტორების ნაამბობსაც, რომლიდანაც ბროსეს მოუყვანია ზოგიერთი ალაგე- ბი თავის „Additions et éclaircis- sements“-ში. რომ იმ დროს საქარ- თველო აღიჭურვებოდა და გაილაშქ- რებდა ხოლმე თავის მოსამზღვრე მტრებ- ზედ,—ეს ცხადი იქნება მაშინ, რო- ცა ავიღებთ რუკას ხელში და აღ- ვინიშნავთ იმ ადგილებს, სადაც ომები ჰხდებოდა. ჩვენ დავეინახავთ, რომ

\*) ამ წერილს თემცა პოლიტიკური ხასია- თი აქვს, მაგრამ ისეთს საყურადღებო საგანს შეეხება და ისე სრულ-მინაარსიანია, რომ, ვგონებ, ჩვენი მკითხველები არ გაგვიც- ხვენ ადგილის დათმობისათვის.





დიც სულ მოხუცი იქნებოდა, თვარა სრულდებით ესმით ქართული.

ვსწერ ერთი მეგრულთაგანი გ. ნ. ჩინაღლაია (იგივე ჩინაღლაძე).

დაბაბა შინა ახალ-სენაკსა საკუთარს სახლში. მარტის 20-სა დღესა, 1885 წელსა.

### შინაური ქრონიკა

== აღდგომის დღესასწაულებმა მთბლისში ჩვეულებრივის სიმბიარულათ ჩაიარეს. ბაზაფხულის მზით დამთბარ ქუჩებში აუარებელი ხალხი დასერი-ნობდა და ყველა თავისებურად მხი-არულობდა. მერის ხიდთან ახლად მოს-წორებულ მეიდანზედ ბალახანები და საქანელები ბევრი გაემართათ და ახ-ლო მდებარე „ბაღკების“ მცხოვ-რებლები მრავალსა ჰყიდულობდენ კაცები ვოდკას და ქალები მზეო კვი-ტას. იუნკრების სასწაულებელთან ნემეც ჯამბაზს ბლონდენს თვალ-აუწვ-დენელ სიმალღებელ ჯაჭვი გაება, ზედ თავისუფლად დადიოდა თავისი რვა წლის ქალი და უხვად ჰკრეფ-და ფულებს მაყურებელთაგან. მუშ-ტაიღში ტევა აღარ იყო; ცხენ-რკი-ნის-გზის ვაგონებში ადგილების მიმბ-ნენი ერთმანეთს თავ-პირს ამტვ-რევენ, ერთის სიტყვით, საკა კი მიიხედავდით, ყველგან სიტუცხლე სდულდა, მაგრამ სამწუხაროდ არსად დროს გატარებას ადგილობრივი ხასია-თი არ ეტყობოდა. არსად ჯირითი, არსად ბურთობა, არსად ლეკური, არსად ჰიდაობა... მაგრამ ვცდებით: სწორედ აღდგომა დღეს იყო გამარ-თული ჰიდაობა რომელიც ბაღში, მაგრამ განა იმისთანა ჰიდაობას ქარ-თველური დროს გატარება დაერქმის, რომლის სანახავადც ლარიბმა კაცმა

უკანასკნელი ლუკმის ფასი უნდა გაი-ლოს? — სურათებიან „მეფის-ტყაოსნის“ შესახებ ბევრი გვეთხავენ, სიტყვი-რად თუ წერილით, როდის გამოვა ეს თხზულებაო. ამის პასუხად საჭი-როდ ეხდათ გამოვაცხადოთ, რომ ჯერ გადაწყვეტით ვერ დაენიშნათ დროს მის გამოცემისას. ამას კი ვიტ-ყვით, რომ გამომცემელმა მიიღო ყო-ველივე საშუალება, რომ გამოცემა რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს, მხო-ლოდ დაბრკოლება სურათებზე, რომელთ ხატვა ბ. ზინის კიდევ დაუწყვია. რამწამა ბ. ზინი ხატვას გაათავებს და თავის შრომას გადასცემს ამომკრელს, გამომცემელი მაშინვე ბეჭდვასაც შე-უდგება. ამის გამო შეიძლება წიგნის დასრულებამდე ერთმა წელიწადმა გას-ტანოს, შეიძლება მეტმა, ან ნაკლებ-მა. რაც შეეხება იმას, რომ ზოგნი გვეთხავენ, ფული რამდენ-რამდენი უნდა გამოვეზაინოთო, — ეს სრულიად გამომგზავნელის ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული; შეუძლიან, თუ ემარ-ჯვება, ათ-ათ-შაურობითაც გამოგ-ზაინოს და წიგნის გამოსვლის დროს, დანაკლისის შესრულების შემდეგ, მიი-ლოს იგი.

== თელავში, როგორც გვატყო-ბიანებენ, დიდად აუღელვებია ადგილობ-რივი საზოგადოება ერთის თავადი-შვილის ჯ.—სადმი ცილის შეწამებას ყალბის ფულების გავრცელების შესა-ხებ. ამ ამბის გამო გამოძიებაც მომხ-დარა და ბრალდებული მართალი აღ-მოჩენილა, თუმცა კი თავადი შვილის მო-წინააღმდეგენი ვილაც მ—ქ—ნ—ოვის მოთავეობით ძალიან ცდილან ჯ—ძე დამნაშავედ გამოეყენათ და ამ საგან-ზედ გაზეთის „ნორ-დარის“ ფურც-

ლა თავის ძალღონის შემოკრფვას გაცილებით მეტად საქაროებდა სა-ქართველო პირველი გიორგების დი ბგატკების დროს, როცა ურიცხვი ჯარები აღმ-აწასღახის და მელიქ-შაჰისა დაფუხსუხსებდენ კიდი-კიდემ-დე საქართველოს შიდა ქვეყნებში, ან შემდეგ საუკუნოებში, როცა და-ნაწილდა სამეფო და როცა მონგო-ლები, თემურლანგი, სპარსები, სელ-ჯუნი, ოსმალო და ბოლოს ლეკ-ბიც უწყალოდ სწეწავდენ მას.

აი, ამისთვის ჩვენ ვთვლით ზემო-აღნიშნულს დროს ფრიად შესანიშნა-ვად და უუბრწყინვალესად საქართვე-ლოს მთელს ისტორიაში. ამ დროს საქართველო არა თუ არ სქიმადა კიდევ ქართველების თავს დასხმა არაქსის ბოლოში 1195 წ. თამარის შვილის ლაშა-გიორგის ბედის გამოსაცდელად. (ქართლ. ცხოვრება გვ. 298). „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც თანამედროვე ცხოვრების ხასია-თი უნდა აღბეჭდილიყო, არის ერთი აღა-გი; საცა ავთანდილ ეშვიდობება როსტე-ვანს შინ წასასვლელად და მეზობლებზედ გასალაშქრებლად, რათა მათ ამცნოს თინა-თინის სამეფო ტახტზედ ასვლა.

ლებზე ერთი აყალ-მაყალიც აეტებ-ნათ. — შარსშიაც დაუხურავთ ამ დღეებ-ში სომხის სასწავლებელი. — ნოვო-ალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტობა გვთხოვს ჩვენს გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოს ბ. მწყემსის რედაქტორს თავის გაზეთის დათმო-ბისათვის.

### „დროების“ კორმასონდენცია

თელავი, მარტის 19-ს. ხანგრძლი-ვი მიმინვარების შემდეგ ყვავილი და საქონლის ჰირი შესუსტდა, თუმცა საკმაო სული კი იმსხვერპლა... იყ-ვენენ ყვავილის ამტრელებიც, მაგრამ იმათ ყოფნას არ ყოფნა სჯობდა. ხშირად ერთსა და იმავე პირს სამ-ჯერ ოთხჯერ უტრიდენ, მაგრამ არც ერთხელ არ აჩნდებოდა ყვავი-ლი.

ამბობენ აგრეთვე ვითომ ექიმებიც ყოფილიყვნენ ხალხის საშველად და ნიშნულიო; არ ვიცით! იქნება მართა-ლიც იყვეს, — მაგრამ ხალხს კი ისინი არ უნახავს, — გარდა ერთი ფერშალი ბ. სანავასი, რომელიც დასტრიალებ-და ხალხს და აძლევდა საჭირო და-რიგებას, მაგრამ ამ გვარს გამძინე-არებულ სენთან, როგორც წელს იყო ძახეთში, ერთი და ორი კაცის ბრძოლა ზღვაში დაცემულ წვეთს ემსგავსება.

მიღის ზაფხული და ყოველგან სი-სუფთავის ჩამოგდებას ცდილობენ (როგორც გაზეთებით ისმის), რათა აიცილიონ ის მშუსრავი სენი, რომელსაც ხოლერას ეძახიან! მაგრამ აქ კი ჩამი-ჩუმიც არ ისმის; თელავს სძი-

თავის ძარღვებს, არამედ იმ ზომამდე გამოსჩქეფდა ძლიერება, რომ მან შესძლო დაპყრობა მრავალი ქალაქე-ბისა და გაჰხადა თავის მეხარკედ მჭიდროდ დასახლებული და ურჩი ნა-წილები ამიერ-კავკასიისა, სომხეთისა და ადერბეიჯანისა. როცა რომელიმე სახემწიფო ხანგრძლივად შეუდგება დამპყრობელ და შემსველ ომებს, მაშინ მისთვის არ არის საკმაო მარ-ტო „სულიერი და კულტურუ-ლი“ ძალა, როგორც გვარწმუ-ნებს მეფელებთან, არამედ საჭიროა, რომ ჯარების რაოდენობა, ესე იგი მცხოვრებლების ის ნაწილი, რომლის გაწვევაც შეიძლება სახემწიფოს უე-ნებელად, შეესაბამებოდეს ერთის მხრით აღნიშნულ სამხედრო განზრახვებს და მეორეს მხრით მთელ სახემწიფოს მცხოვრებლების რაოდენობას. — ეს დამოკიდებულია რომ არ ჰქონოდა ჯარის რაოდენობას მცხოვრებთა რიცხ-ვთან, მაშინდელი საქართველო მთე-ლი საუკუნე ვერ გაუძლებდა შემსე-ველ ომების გაძლიერებას ძლიერი მო-სამხლერების წინააღმდეგ. ამიტომ საარაკო არ უნდა იყოს ის აზრი, რომ,

ნავს!.. ან ვინ აიტყვივებს, რაღას? თუმ-ცა არა ერთჯერ თქმულა „გაზეთში“ თელავის ბინძურ მდგომარეობაზედ, მის უსუფთაობაზედ და სხვათა შო-რის იყო ნათქვამი, რომ ბაზრისთვის ფეხის-ადგილები დაეკეთებინათ, რომ ყოველს ნაბიჯზედ უსუფთაობა აღარ ყოფილიყო, — მაგრამ ვინ შეიწუხა თავი?! ბანა აქაური მოხელეები და ქალაქის დეპუტატები ეგრე ადვილად გაიბრტყენ ყურებს?! ნუ დაივიწყებთ, რომ დეპუტატებში არც ერთი ქარ-თველი არ ურევია. წელს დეპუტატე-ბის არჩევა მაზრის სამმართველოში კი არ მოახდინეს — რაც სამართლიანი და კანონიერი იქნებოდა — არამედ სომხის ეკლესიაში, სადაც ბ. ბალ-დოვემა, ტერტერების ქადაგობის შემ-დეგ საყდარში ერთს თავის მარქაფას დეპუტატობა მიულოცა. თელავში ქართველი ხელოსანი ხალხი უფრო მეტია სომხისაზედ, მაშ რა არის მი-ზეზი რომ ერთ დეპუტატს მაინც ქარ-თველს არ ირჩევენ?!...

აქ სოფლის ხალხი მოკლებულია იმ უფლებას, რომ თავის ნაწარმოები თითოთვე გაყიდოს! შემოიღანს თუ არა სოფლის კაცი ფქვილს, ხორბალს, ქერს, თუ სხვა რამ სოფლის ნაწარ-მოებს, მაშინვე ეძგერებიან ჩაჩები, ნახევარ ფასად ჩაიგდებენ ხელში და შემდეგ მამასისხლად ჰყიდიან. სას-წორთან, სადაც სოფლის კაცის ბი-ნაა, მხოლოდ ჩაჩები დგანან მუდამ და ელიან თავიანთ მსხვერპლს — გლეხებს. ბანა მოხელეების და დეპუ-ტატების ბირ-და-პირი მოვალეობა არ არის ჩაჩების უსენიდილო ქცევას ყუ-რადლება მიაკციონ და მისცენ საშუა-ლება გამსყიდველს და მსყიდველს ერთმანეთ შორის უმაქანკლოდ ვაჭ-რობის წარმოებისა??

მართალია მათი მოვალეობაა, მაგ-რამ მოხელეები ჯერ-ჯერობით ყურს თანახმად აკადემიკოსის ბროსესი\*), საქართველოს მცხოვრებლების რიცხ-ვი ოთხ მილიონამდე აღიარდა მის უზე-ნავს სიმძლავრის დროს.

მხლა გადვიდეთ მეორე ჩვენ დად-გინებაზედ — ქართველთ ჯარების იმ დროის ჩაღისობაზედ. მიგმართოთ ისევ ქართულ მატთანებს და უსათუოდ მათ და არა აკად. ბროსეს ნათარგმნს, რადგან ზოგიერთი სახელწოდებანი, მოყვანილნი დედანში აღნიშნავენ იმ ნაირს წყობილებას, რომელიც მხო-ლოდ იმ დროს არსებობდენ და რომელიც თარგმანში ჰკარგვენ თავიანთ მნიშვნელობას, როგორც მაგალი-თებრ: „მამული“, „ბევრი“, „ჩალი-სობა“, ანუ კიდევ: „განაწყვეს რაზმი წესისამებრ, ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა“. იმ დროის მატა-ნებში შეეხედებით ხოლმე ამ ნაირს სიტყვებს: „წინა ბრძოლნი იყვნენ მესხნი“. მხალია რომ, როცა ეს ითქ-მის ჯარის რომელიმე ნაწილზედ მსველელობის ან აღმხედრების დროს,

\*) ამ გვარია ომები თამარის პირველ ქმრისა, სანამ ის გაეყრებოდა თამარს; ან

\*) იხილეთ: „Тифлисъ въ истор. отно-шен. Д. З. Бакрадзе ст. 46.





არ იბერტყენ და აქაური დებუტატები არა თუ მოინდომებენ ამ კეთილი საქმის შესრულებას, არამედ წინააღმდეგნიც გაუხდებიან, რადგანაც დებუტატები ჩარჩები არიან და ვინ იქნება გიჟი, რომ თავის თავის წარალი მოინდომოს.

მაკრებისა და მცხოვრებთა შორის უკმაყოფილებას უფრო პირველთა ინტელიგენცია აგდებს. სხვათა შორის აქ არის ერთი გამომძიებელი „ნორდარისაგან“ ქება შესხმული მელიქა-ვინმე, რომელიც საზოგადოდ ქართველებს „მუქთაღ-მკამლებს“ და „ყაჩაღებს“ ეძახის და ვაჭრებს კი განათლებულს ხაღს. ეს ის მელიქა კი არ გვევლინება, რომელსაც ქიზიყის შვიდი სოფლის წურბელას ეძახდნენ და რომელმაც თქვენი ქირი წაიღო, არა, ეს ის მელიქა გახლავთ, რომელსაც ისე დახელოვნებით შეუსწავლია ბებიაობა, რომ სამს პაწია რწყილს სამი უმცველებელი აქლემი აშობინა.

ჩამდენსამე პირთ უნდოდათ ბ-ნი მელიქასათვის ბოდნი მოეთხოვინებინათ იმის გამო, რომ ქართველებს ყაჩაღები უწოდა და ამისათვის თავისთან დაიბარეს ეს ვაჭბატონი. როდესაც იგი მოვიდა და გაიგო დაბარების მიზეზი, მაშინვე წამოხტა ზეზე, გამოვარდა გარედ, დაიჭირა ორივე ხელში რევოლვერები გაიმძღვრა ბიჭი და გასწია მასწრის უფროსსაკენ: — არიქა მიშველეთ! ჩემ წინააღმდეგ აქ შეთქმულობაა, რადგანაც გამოძიებაში მეტად მართალის მიმდევარი ვარო; მისწრეთ პროკურორს რომ ჩემი სამსახურის გამო აქ შეთქმულობა ჩემს წინააღმდეგო და სხე. მურმე, ნუ იტყვით, ყველა ეს აღრე მოსაზრებელი ჰქონია ამ ვაჭბატონს. შეველა ეს იმისთვის მოახდინა რომ რწყილისაგან ნაზობი თავის „აქლემ

მაშინ ამ სიტყვებით უნდა ეთქვინებინათ მოათ მოწინავე ჯარი (авангард); ჩაღისობაში კი პირველთა მიმსჯელ-მცემელთ წეობა.

როდესაც შემოვიდა ალგვიწერს შამქორის ომს და გვიმოწმებს, რომ „განაწყევს რაზმი წესისამებრ, ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა“, ანუ ბოლოსტყვის ბრძოლის აღწერის დროს მოგვითხრობს: „წინა ბრძოლი იყენენ მესხნი“ და შემდეგ — ერთ კერძო იყენენ აფხაზნი და ერთ კერძო ამერნი; \*) ნუ თუ ვერ წარმოიდგენთ ნათლად ჩაღისად ჯარების დაწყობას, რაკი იცით, ვის უწოდებდნენ მაშინ მესხს, აფხაზს, ამერს და საზოგადოდ იმ დროინდელი ომების ხასიათი გაცნობილი გაქვთ?

ბატონის შვილი მახუშტი, რომლის აზრს და განმარტებას ქართული ძველი მატიანების გასაგებად აკად. ბროსე დიდს პატივსაცემს, იმ დროის

მები“ კარგ ფასად დაეყიდნა და რწყილისაგან ჩამამველობა არავის დაემჩნა...

მეთავეუწე.

### ცვლევრამები

„წრდილოეთის სააკენტოსი“.

მარტის 23-ს.

**მოსამოკი.** გუშინ დამ ქართველების დიდს ქურაზედ დაიწვა ეზოში გაკეთებული ხის ფლიგელი, რისა გამოც დაიღუპა 19 სახლობა, სამსახურიდამ გამოსული ჰოდ-ჰორუჩიკი გლეხობვი სამის მცირე წლოვანის შვილით და დით; ნაზაროვისა, რომელსაც ჰქონდა დაჭერილი თეთრეულის საკერავის მადანია და 13 მისი მოწაფე ქალი და მოსამსახურე.

**როსტომი-დონეჟი.** მდ. დონზედ გემებმა სიარული ხელახლად დაიწყეს, გემების დატვირთვას შეუდგნენ.

**მარჩი.** ორთქლის შხუნა „მარიუპოლი“ მოგზაურებით და კომანდით, სულ 32 კაცი დაიღუპა აზოვის ზღვაში; მხოლოდ ერთი მოგზაური გადაარჩა.

**ხანოი.** ფანგსონიდამ უკან დაწვევის დროს ფრანკურებს მტერმა ხუთი კაცი მოუკლა და ორმოცი დაუჭრა; კუპასთან და რუსთან მტერი ჯერ არ გამოჩენილა.

**პარიში.** გრევისაგან მიწვეულმა დევესმა, ახალი სამინისტროს შესადგენად უარი განაცხადა და ურჩია მიემართა ბრისონისთვის, რომელიც დეპუტატების პალატის თავს-მჯდომარეა.

ქართველთა ჯარის ჩაღისობას ნათლად გამოგვიხატავს თავის ისტორიულ და გეოგრაფიულ საქართველოს აღწერაში. მახუშტი ამბობს, \*) რომ წინაბრძოლი იყენენ მესხნი, შემდეგ (მეორედ მომსვლელ-მცემელად) მარჯვენა-აფხაზ-იმერნი, მარცხენა — ლიხის მთას აქეთ თემთა ჯარები; მეფის დროშა („სეფე-დროშა“) მიენდობოდათ ქართლას ჯარს და იმათ, „რომელნიც რაჭით სპანი ეყრეს მეფეს“, და, ბოლოს, ყველა ეს ჯარები (მთელი ლაშქარი) დაიყოფოდა, მოთხოვნილებისა დაგვარად, „სამად მიმსჯელად“. — ახლა თუ წარმოვიდგენთ მემატიანეთა მოწმობას, მახუშტის სიტყვებს და შამქორის და ბოლოსტყვის ომის მსვლელობას, ხომ აღვილად გამოიხატება ის ჩაღისობა, რომელიც აღწერილია „მოკლე განხილვაში საქართ. მხედ. 1089—1224

\*) „გეოგრაფ. აღწერა საქართ.“ გამოც. ბროს. გვერ. 34.

ამბობენ, რომ ახალი სამინისტრო შესდგა კონსტანტინის თავს-მჯდომარეობით. პალატის სხდომები სამსახურათმდის გადასდგეს.

**სუპიში.** გუშინ დილით ინგლისელებმა დაიპყრეს თამაი, მასუკან დაბრუნდნენ სიმაგრეში, რომელიც თამაისა და სეაზიმის შორისა სძევს. მტერმა სუსტი წინააღმდეგობა გამოუჩინა. ინგლისელებს ძალიან ცოტა დაეზოკათ. თამაი იწვის.

მარტის 25-ს.

**პამბაზუზი.** შაბათს ხემწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ უავგუსტისის შვილებითურთ ინებეს გათინოდამ პეტერბურგში გადმოსვლა.

**ლონდონი.** შაბათს მინისტრების რჩევას ჰქონდა სჯა ეგვიპტის საქმეებზედ და რუსეთის პასუხზედ ავღანის სამზღვრების შესახებ. სჯის დროს, რომელიც რამდენსამე საათს გაგრძელდა, გრანვილი გამოვიდა და დიდხანს ჰქონდა მოლაპარაკება რუსეთის ელჩთან; სჯის შემდეგ მათ კიდევ ახლად მოილაპარაკეს და შემდეგ გლადსტონი და გრანვილი თავთავიანთ მამულებში წავიდნენ.

**ლონდონი.** რუსეთის პასუხი ავღანის საქმეების შესახებ ძალიან დამამშვიდებელის ხასიათისაა; მაინცა და მაინც საჭიროდ სთვლიან პეტერბურგისა და ლონდონის კაბინეტების შორის ხელახლად მოლაპარაკებას, სინამ კომისია ავღანის სამზღვრების გამორკვევას შეუდგებოდეს. ლონდონის გაზეთები საქმეს ჯერ კიდევ გათავებულად არა სთვლიან.

წლამდე“. იუ. რა საყურადღებო იყო ეს საომარ ჯარის დაწყობილება, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ქართველთა ერის შეგნებაში სამეფოს დაშლის შემდეგაც, იცნობება შემდეგი გარემოებისაგან:

300 წლის შემდეგ იმისა, რაც საქართველო დანაწილდა ორ სამეფოდ და 100 წლის შემდეგ იმის სრულებით დანაწილებისა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ე. ი. 1545 წელსა მართლის მეფე ლუარსაბ ერთად სამცხე-საათაბაგო-მესხებთან გაემართა საომარდ ოტომანის თათრების წინააღმდეგ ბასიანისკენ (ბასან-ყალა). პირის-პირ მტრისა ატყდა დავა საომრო წეობაში ადგილის დაქვრახედ: მესხები თხოულობდნენ თავის მკაფ უფლებსამებრ დაეთმოთ მათთვის წინა ადგილი („ჩვენ ვართ წინა-მბრძოლინი ძველადე და აწცა ქვეყანა არს ჩვენი ჩვენადე ჯერ არს“), მაგრამ ქართლები არ უთხოვდნენ

მარტის 23-ს. **პამბაზუზი.** სახემწიფო რჩევამ დაადგინა: წარდგენილ იქმნას ფინანსთა მინისტრთან, რათა მან დაუმატოს კომერციული ბანკების და ურთი-ერთ შორის საკრედიტო საზოგადოებათა წესდებათ ის, რომ ამ დაწესებულებათ ნება აქვთ იქონიონ გირაოდ საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში და გადაავირონ იქ ქაღალდები, მიღებული გირაოდ კერძო პირთაგან, ამ უგანასწენელთა თანხმობით.

**ოტაშა.** სამხრეთ დასავლეთის კანადაში აჯანყება ძლიერდება; შესდგა დროებითი მთავრობა და სდგება ინსურგენტების ჯარი; ინსურგენტების წინაშე ჯარი იგზავნება.

**რამალ-პინდა.** აპრილის 6-ს გამართულს ბანკეტზედ ლორდმა დეჭერინმა დალია სადღეგრძელო ემირისა, ბრიტანიის მთავრობისა და ავღანისა „იუს მხედრობა ინგლისის დედოფლისა — დაემატა ემირმა — მარად ძლიერ მოსილიო“.

**პარიში.** ახალს სამინისტროში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: ბრისონი — რჩევის თავს-მჯდომარედ და იუსტიციის მინისტრად, ფრეისინე — უცხო საქმეთა მინისტრად, ალიენი — მინაგან საქმეთა მინისტრად, კლამარქრანი — ფინანსთა მინისტრად, კამპენონი — სამხედრო მინისტრად, სადი კარნო-საზოგადო საქმეების მინისტრად პიერ-ლეგვრანი მეურნეობის მინისტრად, ერვიე-მანგონი — სავაჭრო მინისტრად, გაბლა — სასაღონო განათლების მინისტრად, სარვე-ფოს-

ამ საპატო ადგილს, სადაც მათ უყვე უცხოელებად რაცხდნენ. რა შედეგი მოჰყვა ამას? ის რომ ლუარსაბმა არჩია დაეკარგა მესხების შემწეობა და მასადაამე წავგო ომი თავის ქართლებს უკან ჩამოყენებანედ; მესხთა უამისოდ არ მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში და არჩიეს ძრახვა ბრძოლის ველის მიტოვებისათვის, ბრძოლის წაგებაც და მტრის შემოსევაც მათ მამულებში. ეს საბუთები, რომლის საექვოდ მიღება უსაფუძელო იქნებოდა, საკმაოდ ამტკიცებს მემატიანეს სიტყვებს შამქორის ომზედ: „განაწყევს რაზმი წესისამებრ ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა“!

(დასასრული ხვალ.)

\*) „ქართლის ცხოვ.“ გვერდი 306 და 321.





ტისა და ტელეგრაფის მინისტრად, გულისბერი — ზღვათა მინისტრად.

რამალ-პინდა. გუშინ ემირის პატივის სავსემად პარადი იყო აქ შევროვილის ჯარებისა. ნაბრ-ძანებია კვებვის გზა საჩქაროდ დაასრულონ. ნაპრალო მზაა მოახ-მაროს ინგლისს 15,000 ჯარი.

ლონდონი. ამბობენ, რომ ინ-გლისის ჯარს ინდოეთში 8,000 კაცი ემატება. „Times“-ი ამ-ტყვიებს, რომ საფრანგეთისა და ჩინეთის შორის მორიგება მოხდა წინანდელს პირობებზედ, მხო-ლოდ სამხედრო გადასახადს ჩი-ნეთი ადარ გადინდის.

მარტის 27-ს.

პარტიი. ახალი სამინისტროს მოთავსებ ბრისონმა წაიკითხა გუშინ განცხადება, რომელშიაც ნათქვა-მია, რომ კაბინეტის ვალდებულე-ბაა. ჩამოაგდოს თანხმობა და შე-ერთოს ერთად რესპუბლიკური ძა-ლა; ჩინეთისაგან კაბინეთი მოით-ხოვს საფრანგეთის უფლებათა პა-ტივის ცემას, დაქარბულს უწინ-დელს პირობებზედ და წარსული წლის კონვენციასზედ. განზრახვა აქვთ უოველივე ეს საგნები შეას-რულონ მოლაპარაკებით და თუ საჭირო იქნება იარაღითაც. საუც-ხოეთო პოლიტიკას კაბინეთი გულ-გრილად არ მოეკიდება, მაგრამ უკვლავზედ უწინ იმ მოსაზრებით იხელმძღვანელებს - ენებთან ად-რულნი საგანნი საფრანგეთის არ-სებობის ინტერესებს, თუ არა. პა-ლატამ განსნა კრედიტი 150 მილ. ფრანკისა თონკინის ექსპედიციისა-თვის. სჯის დროს რადიკალებმა თონკინის დაცლაზედ წინადადება შეიტანეს. ბრისონმა გაიკვირვა, რომ პალატის წევრებს ენერზე-ბათ ამისთანა წინადადების შემო-ტანა და სთქვა: მთავრობას სურს მშვიდობიანობა, მაგრამ იმისთანას კი არას მოიქმედებს, რაც საფრან-გეთის ღირსების დამამკირებე-ლია.

„ჰავასის“ სააგენტო გვაუწყებს, რომ აპრილის სამს ხელ მოწერი-ლი პირობები მორიგებისა ჩინეთ-მა დაამტკიცა. გაზეთები ამბობენ, რომ პეკინის მთავრობამ უბრძანა თავის ჯარებს თონკინიდან გამოსვ-ლა.

ლონდონი. უელსის პრინცი თა-ვის მეუღლით გუშინ ირლანდიაში წავიდა.

კნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელ-

და-ხელ 1 მარტიდან 1 აპრილამ-დე 1885 წ.

გამომცემისა	—	1	გ.	5	კ.
სეთის ფქვილისა	—	1	გ.	2 1/2	კ.
აქაურის ფქვილისა: შიბ-კელის ხარისხისა	—	1	გ.	2	კ.
მუარისა	—	1	გ.	2 1/2	კ.
იმავე ფქვილ. თონკინში გამომცემისა: შირკული ხარისხისა	—	1	გ.	4 1/2	კ.
მუარისა	—	1	გ.	3	კ.
მესამისა	—	1	გ.	2 1/2	კ.
ჟვარის-მაძი შური:					
შირკული ხარის. ღაჯაში	1	გ.	4 1/2	კ.	
მუარის ხარის. ღაჯაში	1	გ.	3 1/2	კ.	
მესამისა	—	1	გ.	3	კ.
ძროხის ხარისხი:					
შირკულის ხარისხისა	—	1	გ.	8	კ.
მუარისა	—	1	გ.	7	კ.
სუკი	—	1	გ.	15	კ.
ცხვრის ხარისხი	—	1	გ.	9	კ.
ღორის ხარისხი:					
შირკულის ხარისხისა	—	1	გ.		
მუარისა	—	1	გ.		

რკინის გზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდან მარტო სამურდამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ

5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ

8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მოძავალი თბილისში შემოდის

10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო სამურდამდინ მოძავალი თბილისში შემოდის

8 საათზედ დილით

ბაქოდამ მოძავალი შემოდის თბილისში

2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

ქ. გორში

ივ. ბარამოვის მალაზიაში იყიდება ყოველ-გვარი ქართული წიგნები. (3-2)

სათეატრო განცხადება

ამ წლის მარტის 31-იდან, მაი-სის 1-ლამდის და ამავე წლის ოქ-ტომბრის პირველიდან 1886 წლის ადებამდის ქართული დრამატიუ-ლი დასი დაიწყებს წარმოდგენე-ბის გამართვას. ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც ძველ არტისტებს აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთა, — წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეს.

საქმეთა გამგე ქ. აბაშიძე. (6-6)

მათა ჭილაძეების

მართლმადიდებელი ეკლესიის

წიგნისა

და სხანცელიაზიო ნივთეულობათა მალაზიაში

ქ. ქუთაისში

ისყიდება ყოველ გვარი ქართული, რუსული, ფრანკული, ბერძენ-ული, ლათინური და სხვა ენების სახელმძღვანელონი და აგრეთვე ბელეტრის-ტიული და სხვა გვარი საკითხავი წიგნები ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ახლად მიღებულია: ქართული წერის დენები. ი. ს. ზოგებაშვილის ანბანი და რუსულისა და ქართული წერის რეველნი. (10-4)

მუთაისის თავად-ახაშთ საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედვე-ლი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 79 § ძალით, წლიური მორიბი საზოგადო კრება ხსენებულის ბანკის ბბ. წევრთა არის დანიშნული ქ. მუთაისს, ბანკის სადგომში, ამა 1885 წლის ათს მაისს, დილის 11 საათზე.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1884 წლისა.

ბ) დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1885 წლისა.

გ) აღნიშნა იმ საგნებისა, რომლებზედაც უნდა მოხმარებულ იქნეს სა-ზოგადო საქროებათა დასაკმაყოფილებლად გადაღებული ფული.

დ) აღჩვენა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, ზედამხედველის კომიტეტის ორთა წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა ერთის კანდიდატისა. (1-1)

რამაშა ბურაღისა

საუკეთესო სამუალებს აქამოდვე ცნობილ სამუალებათა შორის.

უცრად სწვევტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. კრიკინებს, პრუსაკებს, ბალინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის კიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მანებელს ნივთიერე-ბას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამო-გონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამოგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშა ბურაღისა“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მალაზიაში.

შითაერესი დებო ამიერ-ქავკასიისათვის არის თბილისში „ქავ-კასიის საზოგადოება საფთავიკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყო-ფილებში ბაქოს. II 19,485

(25-23)

ПОДПИСКА

На политическую и литературную газету

ВОСТОКЪ

НА 1885 Г.

Газета ВОСТОКЪ служить органомъ православныхъ вос-точныхъ народовъ, выходить до двухъ разъ въ недѣлю.

Подписная цѣна: съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за 1/2 года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за 1/2 го-да 5 руб.

Подписка принимается: ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова. (10-9)